

რედამცია
 ხელის-მოწერა
 „დროება“
 „დროების“ უსანი:
 9 მან. წამის თვისა . . . 3 მან.
 5 მან. წამის თვისა . . . 1 მან.

დროება

უსანი განსახადებისა
 აღიარებულა, ხოლო 1 კაპიტალიზაციის
 ხელის-მოწერა, ხელის-მოწერა
 წიგნ-ნიშნებისა
 თუ სხვა-ნაირი პატივისცემის, რადიკალიზაციის განხორციელების
 და შემოქმედების დასახელებად გამოგზავნილ წერილებს, და-
 უბეჭდვლად წერალს დედაქალაქის უფროსთა გერ არდუბარუნეს
 *ტოტანს.
 განცხადება მისილება ქართულს, რუსულს და სხვა
 ენებზე.
 ქუთაისში, განცხადება მისილება ქალაქის წიგნის მა-
 დასა.
 ცალკე-ნაირი „დროებისა“ დარბევთა შეუძ.

გამოდის უოველ-დღე ორშაბათს გარდა

ნახევარ წლის ხალის-მოწერა.

წიგნების წლით, ე. ი. 1 ივლისიდან 1882 წლის დამდეგამდე

„დროება“

ღირს გაგზავნით 5 (ხუთი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში — გალანისის პრესბუტუე, თ. ივ. კ.
 ასანისის სახლებში, კლუბს ქვემოთ.
 ქუთაისში — ჭილაძეების წიგნის მადასაში.
 ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакция „Дროება“.

ტელეგრაფი

(სახლთა-მომხმარებლის ტელეგრაფის სააგენტოსათვის)
 კუთვნილობა, 15 ივლისს. ჩერნის
 მისის გზის სტანციადამ მოვიდა
 წიგნი, რომ 14 ივლისამდე ავტოგრაფ-
 ზე 42 მკვდარი ამაჟოტისდათ.

მოსამზენი, 15 ივლისს. ბანკსა
 გაგზავნილან, რომ „რაგონის
 კაშპი“ ფრანგულ-საქციანერები
 კამპანიის დირექტორებსა და რე-
 პორტის კამისასა სამაქალაქო და
 სახლდის სამართლის საჩივრის შეტა-
 ნის ახარებენა.

სტამბოლი, 15 ივლისს. გუშინ-
 კლს კონფერენციის სხდომაზედ ოს-
 ტლიის მთავრობამ განაცხადა თანხ-
 ლობა, რომ ეგვიპტის დასამშვიდებუ-
 ლად გაგზავნის ჯარებს. ანანო-ფაშა
 დას მხადებაშია, განცხადებულ ბრძო-
 ლის ახარებს. მეჩითებს ქაქადადის
 ბრძოლა ახართეს. სირიაში დაატუსა-
 ლეს რამდენიმე შეიხი (ძალდები),
 რომელნიც ეგვიპტადამ იყვნენ გამოგ-
 ზიანიანი ხალხის ასაჯანყებულად.

კუთვნილობის ბირჟა, 15 ივლისს.
 ბანკის ბილეთები: მან. კაპ.
 პორელო ვაშოკცისა — 94 — „
 მეორესი — — — 90 — 25 1/2
 მესამესი — — — 90 — 75 1/2
 მეოთხესი — — — 90 — 12 1/2
 მეხუთესი — — — 90 — 25
 აღმოსავლეთის პირე. — 89 — „
 აღმოსავლეთის მეორე 89 — 25 1/2
 აღმოსავლეთის მესამე 89 — 50
 მოკრო, 1/2 იმპერიალი 8 — 24
 შინაგანის 5% სესხი ბილეთები:
 პორელო სესხის — — 212 — 25
 მეორე სესხის — — 210 — 50
 100 მანეთი ღირს:
 ლონდონი — 24 — 3 პენსი
 მადრიდი — 205 — 55 ცენტრი
 პარიზი — — 252 — 5 სანტიმი
 ვენცილინი — „ — „ პენცი

გალობის გავრცელება

ბევრი თქმულა ქართულს გალობა-
 ზე და კიდევაც საჭიროა ითქვას, რად-
 განაც სანამ ერთი საქმე თავს მოვი-
 ლოდეს, ყოველთვის წინად ლაპარაკი
 და მოსაზრება უნდებო. ზოგს იქნება
 კითხვა კიდევ მოსწყენია, მაგრამ ვი-
 საც ძვირფასად მიჩნია ხალხში საკუ-
 თარის გალობის დარჩენა, დაჩუმება
 და ხმის ამოუღებლობა დანაშაულო-
 ბად უნდა ჩეთვალოს. და მერე, ეს
 საქმე ისეთი საქმე არ არის, რომ
 მართლა იმისი ფეხზე დაყენება ძალიან
 ძნელი იყოს. თუ ამაშია არ დამე-
 თანხმება მკითხველი და ძნელად
 ჩასთვლის, მაინც ეს არ უნდა გვიშლი-
 დეს ბეჯითად ვდევდეთ ჩვენს წადილს,
 თუ კი საჭიროდ და სასარგებლოდ
 მიგვაჩნია იმისი არსებობა მოყვანა.

მე გამოვთქვი („დროება“, № 9) მწუ-
 ხარება, რომ ოთხის წლის განმავა-
 ლობაში გალობის საქმე უნაყოფოდ
 დარჩა; ვინც წინად იყვნენ მგალობ-
 ბელნი, იგინივე დარჩნენ; კომიტეტმა
 გამოურკვევლად წაიყვანა საქმე და
 მომავლისათვის აღნიშნე (ასე გაიჩინ-
 ჯეთ პუნკტებით) ჩემი მოსაზრება — რა
 და რა ჰმართებს კომიტეტსა და სა-
 ზოგადოდ სამღვდელთადას ამ საქმის
 წარმართებისათვის.

„დროების“ № №-ში 15, 21, 22 და
 „შრომის“ 5 №-ში ამ საგანზედ დი-
 წყეს ლაპარაკი ბნმა სხელოელმა,
 გალობის ლოტბარმა ნაკამიძემ და
 ცამციცემ.

სთქვს რამე ნეტა იმაზე, თუ რო-
 გორც მოაგვარონ საქმე? თქვენ არ
 მამიკდეთ. ბატონმა სხელოელმა
 თითქოს შებაასებოდესო ზოგი ჩემი
 აზრი გაიმეორა, ისეთი, რომელზედ ც
 ლაპარაკი არა ღირდა და მცირეს რასმე
 შეადგენდა; ბ. ლოტბარმა სთქვა, გუ-
 რული გალობა იყო ყოველთვის აღმა-
 დგენელი ქართულის გალობისა და
 მდლიობა მივიღე ამათგანა და ამათგა-
 ნაო, (ის კი ვერა სთქვა რაც უსაჭ-
 როესნი იყო; რამდენის კაცისთვის
 უსწავლებია), ბ. ცამციცემა გძლად
 „შრომაში“ თავი დაცეა, ჩემი შიღ-
 გენილი ნოტები არაღისთვის მიჩვენე-

ბია და ამიტომ მის სიკეთებზე ლაპა-
 რაკი არაღის არ შეუძლიაო. (მა იმ
 ჩემის აზრსა გამო ითქვა, რომელიც
 შეგებდა ნოტების დამწერთ მოუ-
 მზადებლობაზე და ხარჯის უნაყოფო-
 ბაზე.) *).

ამ მოხსენებულ სტატიებში წერილ-
 მანს საგნებს შეგებთან გალობის საქ-
 მისას, შეგებთან ჩემის სტატიის წერილ-
 მანს აზრებს; ყველას ეტყობა წყენა
 და ზოგს თავებღური გაწიწმეტება.
 უმთავრესს აზრს კი თითქოს ვერაფერს
 ხედავდეს და ვერ არჩევდეს. რასაკვირ-
 ველია, არა ღირდა მათი პასუხი და
 თუ ეხლა მოვიხსენე, ესეც იმის და-
 სანახებლად, რომ ჩვენ ვალად უნდა
 გვედეს საქმის წარმატება და იმაზე
 გამოთქმულს აზრებში უნდა გაფარ-
 ჩიოთ წერილმანი, სხვათა შორის
 მოხსენებულნი აზრი და უმთავრესი
 აზრი. თორემ, იმას რო გამოუდგეთ
 მე ესა ეთქვიო, ამან ესა სთქვაო, ეგ
 ლობზე-ყორეს მოდებო იქნებო: ვისაც
 გალობისთვის გული შესტკივა, ალბად
 რომ თვალ-ყურს ადევნებდა მასზე
 ნაწერსა და რალა საჭიროა რაც საქ-
 მეს არ შეგებო, ექვეო და გადმო-
 ეაქოთოთ. თუ აზრი, უმთავრესი აზრი
 არ გამოითქვა, ნაწერები გაქარწყლ-
 დებო და საქმეს კი წინ ვერ წასწევს.

სწორედ ღირებული აზრი წარმო-
 თქვა ბ. ნარ. ივერიელმა („დროების“
 № 139) გალობის შესახებ და ამან
 მიზეზნი მომცა ამ ქამად კიდევ დაუ-
 ბრუნდე ქართულ გალობის გავრცე-
 ლების საქმესა.

რამე მდგომარეობს ეხლანდელი
 ჩვენი სურვილი ქართული საეკლე-
 სიო გალობისა და საერო სიმღერის
 შესახებ? მკონებთ ეს აზრი კარგად
 უნდა გამოვარკვიოთ. მართო იმის
 თქმა, რომ ქართული გალობა თუ
 სიმღერა ვიცოდეთო, არ კმარა. ქრთი-
 ორი კაცი რომ საყდარში იდგეს და
 გალობდეს, ეს გალობის აღდგენა არ
 არის, ერთმა კაცმა რომ ყველა მო-
 ტივები და ხმები იცოდეს, ეს გალო-
 ბის აღდგენა არ იქნება; ნოტები რომ
 ძალიანაც კარგად ნაწერი იყოს, ეს

* ბატონი რამან ცამციციე სტა-
 ტიაში მწერს: „მოვიკითხეთ, როდესაც
 გნებაუთა, და ნიშნებს (ქართულის გი-
 ლასას) მოგართმევთ“. ვთხოვ ბნს
 ცამციცეს, რაც სებაუდეს (რამდენიც ბევრი
 იქნება, უფრო კეთილი, თუ საეკლესიო
 და თუ საერო) გამაგზავნოს „დროე-
 ბის“ რედაქციაში ჩემდა გამოსაცემად.
 დაწმუხნებული ბრძანებულებს, სახლო
 და მცოდნე კაცს გაჩვენებ და მათს აზრს
 სრულად გადაუსწავლევებად კაცადი-
 ნება.

გალობის აღდგენა არ იქნება; ამ ნო-
 ტის დამწერლებს და ამ თითო მგა-
 ლობლებს რომ ჯამაგირები და პენ-
 სიები ეძლიოსთ, ეს გალობის აღდგე-
 ნა არ იქნება.

აღდგენა იმასა ჰქვიან, როდესაც
 ხალხში მოიფინება, გავრცელდება,
 ბევრი იქნებოთ მცოდნენი; აღდგენა
 გალობისა იმასა ჰქვიან, როდესაც კვი-
 რა-უქმეობით ეკლესიაში თითო ორ
 მოლიდნე დიაკვნს კი არა ენახავთ,
 არამედ მოწყობილს მაინც ათიოდე
 კაცისაგან შედგენილს გუნდსა; რო-
 დესაც ყოველ ებისკოპოსს ეყოლება
 სამაგალითო გუნდი, როდესაც პირ-
 ვედ-დაწყებით სასწავლებლებში ყმა-
 წვრლებს ეცოდინებთ უმთავრესი მო-
 ტივები გალობისა და სიმღერისა; რო-
 დესაც სასულიერო სასწავლებელთა
 მოწაფენი იქნებოთ შესწავლულნი და
 საგალობლად მოეფინებოთ ქალაქების
 ეკლესიებში კვირა-უქმებით; როდე-
 საც სოფლის სკოლის შაგირდები
 ეკლესიებში მგალობელთა გუნდებს
 შეადგენენ; როდესაც ყველა საერო და
 სასულიერო სასწავლებლებში ისწავ-
 ლიან; როდესაც ყოველ სამეჯლისო
 სადილზე და ღზნში ქართული სიმ-
 ლერების და გალობის შეწყობილს
 ხმებს გაფიგონებთ, შინ და გარეთ,
 ეკლესიაში და თეატრში, ქუჩაში და
 გემზე, მაშინ იქნება აღდგენა ჩვენის
 გალობა-სიმღერისა. წარმატებას და
 სირულეში შესვლას მაშინ ექმნება
 საძირკველი ჩადგმული.

ერთის სიტყვით, ამ ქამად გარკვე-
 ვთი უსაჭიროესი რამ გალობის საქ-
 მეში ის არის, რომ გავრცელდეს გა-
 ლობა და სიმღერა.

ამ აზრს ჰხატავს ბ-ნი ნარ. ივერიე-
 ლი; ის ამბობოს, რომ მართლ-ძახეთ-
 ში გალობის შესასწავლებლად და
 გასავრცელებლად ბურია-იმერეთიდან
 კაცები მიჰყავთ და ჩვენში კი (ესე იგი
 იმერეთისკენ) სულ ისპობა გალობაო.
 იქ, სადაც გუნდნი მგალობელთა და-
 ლადებდნენ, ღღეს დამგარა უმეცარი
 დიაკვანი და რას ღრინავს, თითონაც
 არ იცისო.

ბატონს ივერიელს ჰგონია, რომ
 ქ. ტფილისში უკეთესად სწარმოებ-
 დეს საქმე და ამბობს, რომ იგი „გვარ-
 წმუნებსო, რომ ჩვენ ჩვენს გალობას
 უნდა ვსწავლობდეთო“. ღიად, პატივ-
 საცემი იქნებოდა, რომ მართლა ასე
 ყოფილიყო; მაგრამ, ჩვენდა სამწუხა-
 როდ, აქ ნამყ-თუ და ანუ მოყვანი-
 ლი მგალობლები, თეთონ თითო-
 ორნი ღგებიან და მართლ-მართო
 გალობენ; არც მგალობელთ გუნდსა
 ეხედავთ, არც ვისმე მათგან განსწავ-
 ლულსა და არც ჰგვანან მგალობელი-



თა მასწავლებელთა. აგერ ოთხი ხუთი წელიწადია, ვხედავთ ორს გურულსა და ხანდისხან ორს ქართველსა.

საქმე ისეა, რომ აქამდის ვერაინ მიიმატეს, ვერაინ ასწავლეს, ვერაინ გაიამხანაგეს, რომ თვალით და ყურით დაგვენახა ექვსი კაცისაგან შედგენილი გუნდი ერთს წელიწადს კვირადღეობით რომელსამე ეკლესიაში ბეჯითად მგალობელი.

შოველსავე საქმეს დასაწყისში ბეჯითობა უნდა, თავის გამოღება, უნდა გარო შრომა. თუ გინდა, რომ საქმე არსებაში მოვიდეს, ერთმანერთის მიწვევას და პატივობას კი არ უნდა გუცდიდეთ, თვითონ უნდა მოვიწვიოთ, თავი დაუდეთ და შრომა ნაყოფს გამოიღებს. ძალაქში მგალობლებს არამც თუ თავისით რამე გაუკეთებიათ, არამედ კომიტეტმა ფულიც ხარჯა, ჯამაგირები აძლია და საქმე ისე ვერ დააყენა, რომ რომელსამე ეკლესიაში გუნდი შეედგინა. (ჩვენ ვფიქრობთ, რომ გალობის მოყვარეთაგან უსასყიდლოდ გუნდის შედგენა შეიძლება, ამაზე ლაპარაკი გექონება წელს „ღროების“ 9 №-ში).

ასე ვახლავთ საქმე აქა ქალაქში, და ნულარ იკითხავთ, რა იქნება შართლ-ძანეთის პატარა ქალაქებში და სოფლებში. აქამდის იმედი გექონება შურია-იმერეთისა და თურმე ნუ იტყვიოთ, იქაც თითო დიაკნის ლუღლუღზე დარჩენილა მთელი გუნდის გალობა.

როგორ უნდა აღვადგინოთ გასაქრობად განმზადებული ჩვენი გალობა? იკითხავს ბატონი ივერიელი და პასუხს გვაძლევს, რომ მაშინ კი არა, როდესაც ნოტებზე იქნება გადაღებულიო (ნოტებზე გადაღებისათვის ზედმიწევნით მცოდნე მგალობლების გუნდი და მუზიკის მცოდნეა საქრო), მაშინ შეიძლება გალობის აღდგენა, როცა გალობა პატივდებული იქნება და სასწავლებლებში შეისწავლება. „საყვედურებს ჩვენს სასულიერო და საერო სასწავლებლებს, სამასწავლო სემინარიებს და სათავად აზნაურო სკოლებს (თფილისის და შუთაისისას), რომ მათში არ ასწავლიან ქართულ გალობას (უნდა ეთქვას საეკლესიო გალობას და საერო სიმღერებს). არ კმარა, რომ სასწავლებლებში ისწავლებოდეს; უნდა დაარსდეს სკოლებიო. ეს აღვიღალ შეიძლება იმერეთ-შურია-სამეგრელოში, სადაც ეპისკოპოზებს საკუთარი მგალობლები ჰყავთო.

ამ სახით ბატონი ივერიელი იმავე აზრს ადგას, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინად გამოეთქვით, რომ მგალობელთა გუნდები უნდა შესდგეს მღვდლებისა და ეპისკოპოზების მიერ ეკლესიებში; გალობა და საერო სიმღერები სკოლებში უნდა შეისწავლებოდეს.

მაგალითად მოვიტანეთ კათოლიკეების და სომხების ეკლესიები, რომელშიაც უსასყიდლოდ გალობენ

რომლისამე სკოლის ანუ საერო და ანუ სასულიეროს მოწაფენი. ამ გარდავე შევიძლოთ სოფლებში და ქალაქებში ქართველ მღვდლებს რამდენიმე ყმაწვილები ეშოვნათ მგალობელთა გუნდების შესადგენათ; რაკი დაიწყებოდა საქმე, თითო-ორი კაცი რომ დაჰკლებოდა, შემდეგში ახალთა შეყვანა შეიძლებოდა. ეს იმერეთ-შურია-სამეგრელოში უფრო ადვილი იქნება, რადგანაც უფრო ხალხისიანი ხალხია. არც შართლ-ძანეთში გაჭირდებოდა. საქმე მხოლოდ მოთავევებზედ არის დამოკიდებული: მღვდლებზე და სკოლის მასწავლებლებზე.

არ ვგონებთ ვინმემ ამ აზრიდან ის გამოიყენოს, რომ ეთომც გინდოდეს სკოლის მოწაფეები დიაკნებთა შერევათ ეკლესიებში. ეს მეტის-მეტე ლაპარაკი იქნებოდა და ამაზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ გალობას და სიმღერას პედაგოგიური დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც თვითთავად კაცის აღზრდისათვის, აგრეთვე მრთელის ხალხის აღზრდაში. სიტყვის გაჭიანურებას არ ვგონებთ საქროთა.

შრის კაცებსაც კი ცალკედ მცირე შემწეობის აღმოჩენა არ შეუძლიათ. მინც გალობის და სიმღერის მოყვარეა, თვითონ ეცდებოდა, და ვინც მცოდნე არ არის, მაგრამ მოყვარულია გალობისა და სიმღერისა, მგალობელ-მომღერალს წაახლისებდა, რაშიმე დაეხმარებოდა, დაავლებდა, დაახლოვებდა და საქმეს წარმართავდა.

როგორ, რა გვართა?

პი როგორ: ერთს მგალობელს ანუ მომღერალს, მეორეს ეუშოვნინი ჩემს ნაცნობ ანუ უცნობებში, მოეძებნინი გალობის და სიმღერის მოყვარეს, ორს ერთად შევეყრიდი მოცლილს დროსა და თითო რასმე ვაგალობებდი, ვამღერებდი; ერთს თვეს ერთ-ორსაგალობელს ან სასიმღეროს მოეწყობინებდი, მეორეს თვეს მეორეს, მესამეს მესამეს. ორ კაცს მერე მესამე ამხანაგს ეუშოვიდი, მასუკან მეოთხეს და ნელ-ნელა რამდენსამე თვეს ვივარჯიშებდიო. ამ გვარად შევადგენდი ექვსიდან ათამდის გუნდსა და ეკლესიაშიც დაეიწყებდი გალობას, შინაურობაშიც და ლხინშიც. შუნდის თან-და-თან გადიდება ისე შეიძლებოდა, რომ მთელ სოფელს სკოლენოდა და როგორც ზოგიერთ დასავლეთ და აღმოსავლეთ ქვეყნების ეკლესიებშია, მთელი მრევლი საყდარში დასწრების დროს იგალობებდა ორ გუნდათ დაყოფილი.

მე დარწმუნებული ვარ თითქმის, რომ იმერეთისკენ ამას ითავებენ და ორიოდ წელიწადში კიდევ მოახერხებენ. საქმე იმაზეა, რომ მოთავე და გამძღოლი ვინმე გამოჩნდეს. ეს საქმე არც შართლ-ძანეთში არის ძნელი ასასრულებელი.

რაც აქ ერის კაცზე ეთქვით, მღვდლებსაც შეუძლიათ როგორც

შართლ-ძანეთში ისე იმერეთ-შურია-სამეგრელო-რქაში.

ამასთანვე ამისთანა მღვდლებს და ერის კაცებს საქროა სოფლის და ქალაქების მასწავლებლებმა მხარი მისცენ; ყმაწვილებში გალობის მოყვარენი მათს შედგენილს გუნდში შეიყვანონ.

ამ გვარად შესდგება გუნდები ყმაწვილებისა და დიდებისაგან; ამ გვარად გადავ გალობა და სიმღერა ხნიანებისაგან პატარებში და თავად-აზნაურ-სამღვდლოთაგან გლეხებში; ამ გვარად გავრცელდება გალობა და სიმღერა, თან-და-თან წარმატებაში შევა, გამშვენიერდება და გამდიდრდება.

ღალ, უნდა ვისწავლოთ და ვასწავლოთ ერთმანერთს გალობა-სიმღერა, მგალობელთა და მომღერალთა გუნდების შედგენით. მისაც გული შესტყვივა, ითავოს და ხელი მოსჭიდოს.

დღიური

რუსულ გაზეთებში იწერებინ, რომ მაღალ ყოვლად-სამღვდლო იოანნიკის მაგიერად, რომელიც, როგორც მოგვხსენებთ, მოსკოვის მიტროპოლიტად დაინიშნა, ჩვენში, საქართველოს ექსარხოსად გადმოჰყავთ რიანის არხივისკოპოსი პალლადი. მაღალ ყოვლად-სამღვდლო პალლადი, როგორც ამბობენ, ჯერ კიდევ ხნიერი კაცი არ არის, ის 1866 წელს უკუ-თხებიანთ ეპისკოპოსად და შარშან მიუციათ რიანის არხივისკოპოსობა.

მაღალ ყოვლად-სამღვდლო იოანნიკის, რომელიც ამ ჟამად პიატიგორსკში იმყოფება, ამ ივლისის დამლევს მიელიან თურმე მოსკოვში. ამ დროისათვის უნდა მოველოდეთ ჩვენც ექველია, ჩვენს ახალს ექსარხოსს.

ბუშინ წინ ჩვენს ქალაქში ჩამოვიდნენ სენატორი ბერი და იმის თანაშემწე სენატის ობერ-პროკურორი პლატონოვი, რომელნიც ძველკაცის სასამართლოების რევიზიისათვის არიან პეტერბურღილად გამოგზავნილნი და აგრეთვე მონაწილეობის მისაღებად იმ კომისიაში, რომელიც, ლენ.-ლიტ. სტაროსელის თვისმჯდომარეობით, მუშაობს ამ ჟამად ჩვენს ქალაქში, ძველკაცის გამგეობაში საუმჯობესო ცვლილებათა შემოსაღებად.

ბუშინ, პარასკევს, 5 საათზედ და 45 მინ. თ.ე. ღონდუკოვ-პარასკოვი შემოვიდა ქალაქში.

ბუშინ წინ, უცრად, ქუჩაზედ მოკვდა ჩვენს ქალაქში გამოჩენილი ლუდის გამკეთებელი ნემცი მადერი. ამბობენ, მცვალებული ბევრის ლუდის სმით გაყენთილი იყო და მისაგამო დამბლა მოუვიდაო. ბაფრთხი-

ლება იმათთვის, ვინც ბევრ ლუდს სვამს...


შუთაისილად გვწერენ, რომ გამოჩენილი მარჩიელი და მკითხველ გვყავდა ჩვენს ქალაქში: ერთი ფრანგის ქალი მაგდანა და მეორე ურიის შატაა რიჩინაშვილის ბებია, რომლებთანაც მუდამ უნდა ვიხილო ხალხი დადიოდა და, რასაკვირველია, ყველას ატყულებდნენო. ახლა, ლეთისა და თქვენის გაზეთის წყალობით (რადგან „ღროებაში“ ამათი ოცნები გამოაშკარებული იყო), ორივე ამ მარჩიელებმა თავი დაანებეს მკითხაობასაო. შურის ქალი იერუსალიმში აპირებს წასვლას ცოდების მოსანანებლადო.

„შრომის“ უკანასკნელ ნომერში ვკითხულობთ:

ხელ-მეორედ მთავარ-მმართველი შუთაისში მობრძანდა 8-ს ამ თვეს, შემდეგ შურიაში და სამეგრელოში მოგზაურობისა. მეორე დღეს დილის შვიდ საათზე მიამა ბრწყინვალემა დახვდა შუთაისში მღვამი ჯარი. მეთა საათზე მან ინახულა შუთაისის საქალაქო დეპუტაცია, რომელმაც განსაკუთრებით ის ითხოვა მისგან, რომ ტყიბულის რკინის გზა მალე გაკეთდეს და იქმნეს გამოყვანილი შუთაისზედ. აგრეთვე ჩვენი გაზეთის რედაქტორიც წარსდგა მის ბრწყინვალეობასთან, რომელსაც მოახსენა, თუ რა გაჭირვებულს მდგომარეობაშია ადგილობრივი გამოცემები და სხობვა, რომ თუ შესაძლებელი იქნეს, დაინიშნოს შუთაისში მუდამი ცენზორი.

სალამოს შვიდ საათზე თავადი ეწვია სადილად საქალაქო საზოგადოებას. ამ სადილზე სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო ოფიციალური სადღეგრძელოების მეტი სხვა ტრასტები არ იყო წამოთქმული. ძალაქის თავმა პ-მა, სხვათა შორის წარმოსთქვა სიტყვა მასზედ, რომ შუთაისის საზოგადოთვით-მმართველობა დღევანდლამდ რაღაც მარტოკა მოქმედებსო; მას ეჭირვება დახმარება, ხელის შეწყობა; თქვენმა ბრწყინვალემა გამოუცხადეთ თფილისის ქალაქის თვით-მმართველობას სურვილი მათის თქვენთან დაახლოვებისა და იმედი გვაქვს, რომ ამ ნაირს თქვენს სურვილს არ მოაკლებთ აქაურს საზოგადოთვით-მმართველობასაცაო. ამ სიტყვების შემდეგ მისმა ბრწყინვალემა მთელი საზოგადოების სადღეგრძელო მიერთვა და გამოუცხადა საზოგადოებას თანაგრძნობა.

სადილის გათავების შემდეგ ძვირფასმა სტუმარმა გამოაცხადა, რომ მე მოვისმინე შუთაისის სხვა-და-სხვა საქროებაზედ მოხსენება და იმედი მაქვს, რომ რაც კი ჩემგან შესაძლო იქნება საზოგადოების სურვილი დაეკმაყოფილო, ვისურვებ შუთაისის კეთილ-დღეობასა და მის წარმატებასაო. ამ სიტყვებზედ საზოგადოებამ გული-მხურვალე მადლობა გამოუცხა-



დასაღწეს ათს საათზედ დანიშნულნი...
რომელმაც და...
იყენებ სტუმრები, კაცო...
მოიყარეს თავი, თვით...
დასაღწეს ტანცაობა, ტანცაო...
ლეკური და ძლიერ რმხია...
გაატარეს დრო. მეთორმე...
მისი ბრწყინვალეობა გა...
საზოგადოებას და ინება...
წაბრძანება.
...
დადეს, შაბათს დილით, მთა...
წაბრძანდა მორღმე...
მკატერინე ლადიანის სანახა...
იქიდან დაბრუნებული, მე...
დადეს დილით, გაემგზავრა...
მისკენ.

მელიმეში მოიპოვება ცოტაოდენი...
ისიც ისე გაფუჭებული მოუფლო...
ბისა და წვიმისაგან, რომ ვინც კი წა...
იღო ამ გაჭირების დროს, საქმელად...
არ გამოდგა.
...
ქვესი წვლიწადი მეფია, რაც ხერხ...
ქარის საზოგადოებაში არსებობს სა...
ზოგადო მალაზია ჭირნახულისა; მაგ...
რამ ამის კეთილ წარმატებას კი არა...
ემველა-რა. ღაარსების წელში რომ...
გაუციათ სესხი, ჯერ კიდევ არ აუ...
ლიათ; რაც დარჩენილა ბელგელში,
ისიც გაფუჭებული უყურადღებობით.
...
მინ არის პატრონი! სამაგილითოდ
გამსესხებელ-შემნახველი კასა კი რა...
მდენიც შეიძლება, ხელს უქართავს
ხალხს და აძლევს იგივე სარგებლით
სესხს და ყოველ ღონეს ხმარობს,
ხალხი დაიხსნას სომეხ-ურითა და
ამათ გერადამიანების ვალში ჩაგარდ...
ნისაგან. ამ ამხანაგობის წარმატება
მიეწერება მისი გამგებლის თ. ძ. ში...
ფიანის შეუსუსტებელ შრომასა და
მოღვაწეობას; მარტოდ-მარტო ეს პი...
რი წარმოგვიდგენს მხოლოდ ერთს
დაულალავს და მოუწყინებს მზრუნ...
ველს ხსენებულის ამხანაგობისათვის.
...
არ იქნება ურიგო, რომ დანარჩენ
გამგებლებთ და რჩევის წევრთაც მიხე...
დონ ამის მაგალითს.
...
მს მეორე წელიწადია, რაც თთ.
შიფიანების მეცადინებით ჩვენს მაზრა...
ში სოფ. ხენჯქარიაში დაარსდა შეი...
დის დღის იარმუკა. მამულის მეპატ...
რონეებს დიდი იმედი ქონდათ, რომ
ეს იარმუკა სარგებლობას მოუტანდა
მათ, მაგრამ, ეხლა როგორც სჩანს,
სარგებლობაზედ უფრო მეტი ზარა...
ლი მოუტანია და ამისათვის, ამბო...
ბენ, ვანზრახვა აქეთ თურმე, რომ
იარმუკობის მოსპობის თხოვნა შე...
იტანონ საცა ჯერ არს. წარსული
იარმუკების შემოსავალი ჯერ-ჯერო...
ბით სრულიად არაფელი მიუღიათ
ადგილის მეპატრონეებს. მს შემოსავა...
ლი, მეპატრონეების დაუკითხვად, აუ...
კრებია პოლიციის პრისტავს ბ. ჯან...
ლიძეს და დღესაც მის ხელში არისო.
...
აღვლი, სადაც იარმუკა იმართება,
უმეტესი ნაწილი ეკუთვნის თთ.
ქონსტანტინე, მაიხოსრო, ლუარსაბ
და პლექანდრე შიფიანებს და რასა
კვირველია, რიგით შემოსავალიც ამათ
მეტი უნდა მიეღოთ, მაგრამ ჯერ
გროშიც არსად სჩანს; დღემდის პო...
ლიცია ეუბნებოდათ თურმე: მონა...
წილები შერიგდით ერთმანეთში და
მეომედ დაგირიგებთ ფულეებსაო; მაგ...
რამ ეხლა ეს მხოლოდ ცალიერი სი...
ტყვი ყოფილა: მონაწილები შეთან...
ხმებულან ერთმანეთში და თავის წარ...
მომადგენელი გაუგზავნიათ მაზრის
უფროსთან ფულეების მისაღებათ; მაგ...
რამ ვერ მიუღიათ; პირველს მოთხოვ...
ნაზედ მაზრის უფროსის პასუხი ყო...
ფილა: ხვალ მობრძნდით და მიიღებ...
თა; ხვალაც მისულან დანიშნულს
დროზედ და მაშინ უბრძანებია სულ...
სხვა: უთხოვინა, რომ ამ ფულეების
მაცემა აკლონ, სანამ ქვეყნის ახა...
ლი მთავარ-მმართველი თავადი ღონ...

დუკოე-ძორსკოვი დაბრუნდებოდეს...
ტყუბულიდამ (იქ მივიღიან 10 ამ...
თვეს).
...
როგორც იქნა ეღირსა ადგილობ...
რები დახედო ხენჯქარის საზოგადო...
ებაში სასოფლო გზებს. ამას წინედ...
იყო თვით მაზრის უფროსი და დახე...
და ყველა გზები. საზოგადოდ სა...
ზოგადოებაში და განსაკუთრებით პირ...
ველს და მეორე ტოლაში ძალიან
კული და გაფუჭებული გზებია ასე,
რომ თუ ცოტათი წვიმიანი დღეები
დადგა, კაცს გავლა აღარ შეუძლია.
...
ამას კარგად დანახავდა ბატონი უფ...
როსი და მოსალოდელია, რომ ამ
გზებს შეკეთება და გაუკეთება ეღირ...
სება. აქაური მცხოვრებლები ოც...
ოც ვერსზედ გაჰყავთ უბრალო გზე...
ბის საკეთებლად და შინ კი ისეთი
კული გზები აქეთ.
...
ამ გზების დახედვის შემდეგ ერთი
უსიამოვნო შემთხვევა მომხდარა: რო...
დესაც გზების დახედვის შემდეგ, ბ.
მაზრის უფროსი თვისის ამალით მი...
ბრძანებულია პურის საქმელად ამ სა...
ზოგადოებაში მცხოვრების ერთის ბა...
ბუჩქაძის ოჯახში, იქ ამაღა კარგად
შეზარხო მებუღა ბახუსის წევრით და
ერთს მათგანს—პრისტავს ჯანელიძეს
მთრახვი გადუჭირებია ტყუილ-უბრა...
ლოთ თ. ძ. შ—ნისათვის. ამას, რა...
საკვირველია, უთაკილებია ეს გაუ...
პატიურებია და კარგა-ლაზათიანთ გა...
ურჭვია ხაჯალი ბარძაყში პრისტავის...
თვის. მრილობა მძივე არ აღმოჩნდა,
ეხლა თითქმის კიდევ მორჩენია, მაგ...
რამ სხვებ კი ვერ გახლავთ კარგი
ამგვარე სურათი ხალხისათვის. სადაც
თვით მაზრის უფროსთან ასე იქცე...
ვიან, უიმისოდ რაღას უნდა მოგე...
ლოდეთო, ამბობენ! საზოგადოდ ხალ...
ხი არ არის თურმე კმაყოფილი ამ...
პრისტავზედ: ერთობ უფლება მიუცო...
თავის ხელისთვის: ხალხის ცემა-ტყე...
არაფრად მიიჩნიაო.
...
გოჯგოჯგოჯგო.

წარმოები—დროების მოთხოვნით...
ბას ვეღარ აკმაყოფილებს, აბა ბატონ...
ნო, სად მაშინის სიჩქარით ხერხე...
და სად კაცისა.
...
მტყობა, რომ ჩვენ რაღაც კარგი
გვაკლია, რომელმაც ეგებ ცოტა უფ...
რო შეღავათი მოგვეცეს გროშის შოგ...
ნაშიდ და კაცურს ცხოვრებაში. მს
გახლავს სწავლა, რომლის ღირსიდ...
არ გავგხანდა ღმერთმა. ამდენ ჩვენს
ხუროებაში ტფილისში ორმა-სამმა
თუ რცის კითხვა-წერა და ისიც რო...
გორი! მს არის უბედურობა, ბატონ...
ნო, რომ ვერ გაუცნო გემო ჩვენმა
ხალხმა სწავლასა. ჯერ ჩვენი მშრო...
მელი, მუყაითი და ბეჯითი ხალხი,
უმეცრებისა გამო, კულად გახლავს
და უჭირს ცხოვრება.
...
ჩვენისთანა ღარიბი ხალხისათვის,
რომელსაცა ძნელად შეუძლია თავის
ხარჯზედ სწავლა, გახსნეს სახელოსნო
სკოლა. საუბედუროდ, ამ სკოლაში
ჩვენი წოდების ხალხის შეიღები ცო...
ტა არიან. რითი უნდა აიხსნას ეს,
არ ვიციო.
...
წარსული თვის თერთმეტს იყო
საზოგადო შეკრებილება ტფილისის
ხელოსნებისა შპრავაში. ამ კრებაზედ
დაესწრო 130 ხელოსანი. მს კრება
სამაგალითოა და შესანიშნავი მით,
რომ აქ გაიცნო ჩვენმა ხალხმა თუ...
რა მოღვაწე ყოფილა ჩვენთვის ჩვენი
სახელოსნო მთავი ბ. ტ. ღ. ნაუმენკო.
...
ის, როგორც სჩანს, სასულიოა
სახელოსნო წოდების ხალხისათვისა,
ცდილობს, ამ ხალხმა წინ წაიწიოს.
...
ბევრი კარგი აზრები ითქვა მისგან
ამ ხელოსანთა კრებაზე. მართალია,
რუსულის ბევრი არაფერი გაგვიცება,
მაგრამ თარჯიმანის შემწეობით რო...
გორც იქნა, ცოტაოდენი გავიგეთ.
...
აქამდის რომ ჩვენ სახელოსნო სამარ...
თალში ამ ნაირი კაცი გვეყოლოდა,
უკეთესი წყობილება იქნებოდა და
ახლა ამ ნაირად დაცემული არ ვიქ...
ნებოდით, როგორც ახლა ვართ. სა...
ზოგადოდ ხელობის და ხელოსნების
ცხოვრების გაუმჯობესობაზედ ეხლან...
დელი მთავი ღონე ცვლილებას გვიპირ...
დება და, იმედია, იმის ნათქვამი სიტ...
ყვა იმ დღეს უბრავაში მარტო სიტყ...
ვად არ დარჩება. შეგვიპირდა, რომ
კანონებს და წესდებებს ქართულ...
ენაზე ქართველებს მიეცემთო და სომ...
ხურს სომხებს.
...
ჩვენი ამქრის ხელოსანი ხალხი ის
აღარ არის, რაც უწინ იყო; უმცროს...
სები ახლა უმფროსებს არ უგო...
ნებენ და უფროსები ისე არ ფარვე...
ლობენ და ზრუნავენ თავის ხალხზე,
როგორც უწინ იყო. ამისაგან არის
რომ ჩვენში ხელობაც წახდა და და...
ვარდა.
...
აქამდის ერთი ხურაუების შაშახა...
ლისი არ ყოფილა, რომ კაპეკი შეენა...
ხოს თვის ამქრისთვის საზოგადო შე...
მოსავლიდამ, ასე რომ საწყალ-გჭირ...
ვებულ კაცს ჩვენი წოდებისას ვერა...
ფერ შემწეობას ვერ გაუჩენდნენ ჩვე...
ნი მამასახლისები. სად მიჰქონდათ შე...
მოსავალი და რას უშვებოდნენ—ემ...
მაკაც არ იღის. ახლა კი ათის თვის

წერილი რედაქტორთან.

მე განსაზღვრე თითქმის ეს ერთი...
წელიწადი მხერხაგების მამასახლისად...
სანამ ამ თანამდებობას მივიღებდი
მინამდინაც კარგად ვიცნობდი ჩვენ
საწყალ ხალხის მძღვომარეობას, რად...
განაც მე თვითონ იმათთან ერთ ტა...
ფაზედ ვწოდი და ახლაც ვიწვი; მაგ...
რამ ამ ერთ წელიწადში უფრო დაწ...
ვრილებით შევიტყვერა განსაცდელშია
ეს ბეჯითი და მშრომელი ნაწილი
ჩვენი ხალხისა.
...
ქარგად მოგვეხსენებათ, ორი გრო...
შის საზოგადო რა ჯაფას და ოფლის
დგრას არ იტანს ჩვენი ხურა და სა...
ზოგადოდ მუშა-ხალხი. ამ თვის და...
უზოგველის შრომით უწინ როგორც
იყო გებულობდენ ფულს, მაგრამ ახ...
ლა, როდესაც რაღაც ხერხის მაშინე...
ბი მოიტანეს მდიდრებმა და დაუწყეს
მითი ხეების ხერხე და ყიდვა, ჩვენი
ხურაების და ნამეტურ ქარგლების
საქმე უკუღმა დატრიალდა. როგორც
ეტყობა, ჩვენი შრომა—ხელით წა...



განმავლობაში მოგროვდა თერამეტი თუმანი სამი მანეთი და ჩვიდმეტი შაური, რომელიც გარდაცვლილ ამკრისგან ამორჩეული კაცებს. ეს ფულეები გვინდა მოვანხაროთ გავიყვებულ ჩვენი წოდების კაცებს და სხვა ჩვენ საჭირო საქმისათვის. უწინ ქარგლებს ხდებოდა საიგილობრო ფული თვეში ორი შაური, რომელიც შეადგენს წელიწადში თუთხმეტ თუმანს. ეს ფულეებიც სად ჰქრებოდა არაინ იცის. წელს რადგანაც ჩვენს მუშა ქარგლებს უჭირს ამ ფულეების გადახდა, მე შევფიქრე და არ გამოიმართმევია მათთვის; ზემოხსენებული ფულეები კი სხვა შემოსავლიდამ მოგროვდა.

მისეილ მესხი.

თფილისის სამაჟრნალო

ავათმეფეები მიიღესან დილის რვა საათიდან თორმეტ საათამდის.

ო რ შ ა ბ ა თ ს გასაღვიანი და ლისიციკი—შინაგან ავათმეფობისა; კელდიში სიფილისტიკური და სირურგიული ავათმეფობისა; ბასუტოვი—ბუბიაობის, ქაღების და უმაწვილების ავათმეფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმეფობისა.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს. მინკვიანი—სირურგიული ავათმეფობისა; ლისიციკი—შინაგან ავათმეფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმეფობისა; ბასუტოვი—ბუბიაობის, ქაღების და უმაწვილების ავათმეფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმეფობისა.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს. ლისიციკი და მირამანოვი შინაგან ავათმეფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმეფობისა; ბასუტოვი—ბუბიაობის ქაღების და უმაწვილების ავათმეფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმეფობისა.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს. ლისიციკი—შინაგან ავათმეფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმეფობისა; ბასუტოვი—ბუბიაობის, ქაღების და უმაწვილების ავათმეფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმეფობისა.

შ ა რ ა ს კ ე კ ს. მინკვიანი—სირურგიული ავათმეფობისა; ლისიციკი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმეფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმეფობისა; ბასუტოვი—ბუბიაობის, ქაღების და უმაწვილების ავათმეფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმეფობისა.

შ ა ბ ა თ ს. ლისიციკი—შინაგან ავათმეფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმეფობისა; ბასუტოვი—ბუბიაობის, ქაღების და უმაწვილების ავათმეფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმეფობისა.

განსხვავებანი

ინგლისის მალაზიაში ახლად მიღებული დიდ ძალი ჩაი პირველი

მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იქილება: ზარუსისა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ.—დამ; პანოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—97)

მოსამზადებელი სოლა

ე. თ. დოღვოვო-საბუროვისა

ამ ქამად გადატანილ არის ძონსულის ქუჩაზე, სლინკოს სახლებში, № 14. სწავლა და მიღება ყმაწვილების ორივე სქესისა გრძელდება. სრული პანსიონერები იხდიან თვეში 40 მან., არა-სრული 25 მან.; გარედამ მომსვლელი ყმაწვილები 8 საათ.—1 საათ.—6 მან., ნასადილევს სწავლებით კი 10 მან. (4—1)

გ. ნიკოლოზის-ძე იოსელიანი იღებს თვისს ჰანსიონში ყმაწვილებს პირობით მოსამზადებლად სხვა-და-სხვა სასწავლებლებში. ადრესი: მისაილოვის ქუჩა № 81. (5—3)

ვაძლევ დღიურად და თვეობით იაფათ მებღიროვან ოთახებს, სასხვლად

„ლიპალია“

გოლოვინის პრინციპიტსუდ. (20—12)

ვალაზია

სალიანის თევზეულისა

უცნადაც საზოგადოებს, რომ მან ახლად მიიღო სალიანში მარტში დაჭერილი თევზეული საგანგებოდ მომზადებული და ისეილება წვრილად და ზარტითაც. აქვე ისეილება ყოველ დღე მოსარმული თევზეული. მალაზია იმეფება თამამოვის ქარვასლის ქვეშ. (12—5)

ღიბეკდა და ისეილება ბრ. ჩარკინის ქართული წიგნის მალაზიაში:

თამარ დედოფალი

შედგენილი

გ. ბ — შვილისაგან

გამოცემა

საქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

ბოლგარულ-ინგლისური გუთანი გოლნარდისა მსურველთ შეუძლიანთ გამოიწერონ თ. ა. პანინოვისაგან, რომელიც არის აკენტი ბ. გოკარდისა.

განტარა პეპინოვისა არის ტფილისის ქალაქში, აწიწრის სასლში, დეკარცოვის ქუჩაში. (6—6)

მერვე კლასისი გიმნაზიელი

აძლევს ვაკვეთილებს

ადრესი „დროების“ რედაქციაში.

ახალი მართული

კარაბაღინი

ისეილება ტფილისში: შვედლავის და გრიჭოვის წიგნების მალაზიაში; მუთაისში: მურადლავის და ჭიჭინაძის მალაზიაში.

ფასი უდიანის ერთი მანეთი.

ღიბეკდა და ისეილება

ქურეშ

მარაგინის უპილის

მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ ზარგელის ნაწილიდან ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდის მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო პობლაძესთან.

მართველ მალაზიაგან ნათარგინი

მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისეილება ტფილისში: შვედლოვთან, ჩარკინთან და ბრიჭოვის წიგნის მალაზიაში (ბალის პირდაპირ).

მუთაისში: ჭიჭინაძის და ნიკოლაძის მალაზიაში.

გორში: მ. ტერესელიძესთან.

ღიბეკდა და ისეილება ბრ. ჩარკინის ქართული წიგნის მალაზიაში

გამოშლის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ შურცელაძისა

გამოცემული

საქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

გამოვიდა ცალკე წიგნათ

დ რ ა მ ა

სამშობლო!

ისეილება შავარდოვის საბავბოში.

ფასი 60 კაპ.

(20—7)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

ბუნების ძარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისეილება გრიჭოვის წიგნის მალაზიაში, ქუჩის სიღის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ხალხს ფულზედ ერთად თხუთმეტს კგზემპლიარისა, ანუ მომეტეულსა, დაეთობა კგზემპლიარის თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს კგზემპლიარის იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად; ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

პარტა სამართველონი, მეორე შეცვებული გამოცემა; ისეილება იმავე მალაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს კგზემპლიარის იყიდის, პარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი კგზემპლიარის მიეცემა—ათს შაურად.

ღიბეკდა, გამოვიდა ცალკე წიგნათ
თფილისის წიგნის მალაზიაში

ი ბ ა მ - ა რ ა კ ე ნ ი

ქილოვისაგან და სიბრძნეს-სტრუგან გალექილი თ. რ. კრისთისა.

ისეილება

თფილისის წიგნის მალაზიაში ახლო გამოხული რუსულს ენაზე წიგნი

Грузинскія крестьянскія грамоты и письма грузинских и персидских царственных особъ. (Материалы для исторіи древней Грузии).

сост. Д. П. Пурцеладзе.

მუთაისში ისეილება ჭიჭინაძის მალაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

ბამცია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდიან თფილისის ბაზრებში, უნდა იყიდონ და დატარებონ 16 ივლისიდან 1 აგვისტომდის.

ბამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილი

პირველის ხარისხის — 1 გირ. 5

მეორის „ — 1 გირ. 3

მესამის „ — 1 გირ. —

იმავე ფქვილ. თორწენში გამოცხვარი

პირველის ხარისხის — 1 გირ. 5

მეორის „ — 1 გირ. 4

ჭვარის-მამის პური:

პირველ ხარის-ლავეში 1 გირ. 6

მეორის „ „ — 1 გირ. 5

მესამის „ „ — 1 გირ. 4

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის — 1 გირ. 9

მეორის „ „ — 1 გირ. 7

სუცი — — — 1 გირ. 15

სხერის ხორცი — 1 გირ. 10

ლორის ხორცი:

პირველი ხარისხის — 1 გირ. —

მეორის „ „ — 1 გირ. —